



დანართი

პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი
განათლების დარგობრივი მახასიათებელი
უმაღლესი განათლების I და II საფეხური
(ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII
დონეები)

სარჩევი

I.	შესავალი	1
II.	სწავლის სფეროს აღწერა	3
2.1	პროფესიულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სფეროები	4
2.1.1	პროფესიული უსაფრთხოება მშენებლობის სექტორში.....	5
2.1.2	პროფესიული უსაფრთხოება სამთომოპოვებით საწარმოებში	6
2.1.3	პროფესიული უსაფრთხოება მძიმე მრეწველობაში	7
2.1.4	პროფესიული უსაფრთხოება მსუბუქი მრეწველობის სფეროში	8
2.1.5	პროფესიული უსაფრთხოება სამედიცინო და ჯანდაცვის სექტორში	9
2.1.6	პროფესიული უსაფრთხოება მომსახურების სექტორში.....	10
2.1.7	პროფესიული უსაფრთხოება სურსათის წარმოების სფეროში	11
2.1.8	პროფესიული უსაფრთხოება სოფლის მეურნეობაში.....	12
2.1.9	პროფესიული უსაფრთხოება ენერგეტიკის სექტორში	12
2.1.10	პროფესიული უსაფრთხოება მანქანა-დანადგარებთან, მოწყობილობებსა და სხვა სამუშაო ხელსაწყოებთან მუშაობისას.....	13
2.1.11	პროფესიული უსაფრთხოება ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში.....	14
2.1.12	პროფესიული უსაფრთხოება ქიმიური მრეწველობის საწარმოებში	15
2.1.13	პროფესიული უსაფრთხოება მეტალურგიულ საწარმოებში.....	16
2.1.14	პროფესიული უსაფრთხოება მომეტებული ტექნიკური საფრთხისშემცველი ობიექტებში.....	17
2.2	პროფესიული უსაფრთხოების სფეროს ძირითადი რეგულაციები მარეგულირებელი უწყებები და დასაქმების მოთხოვნები.....	18
2.3	მისანიჭებელი კვალიფიკაცია.....	19
III.	სწავლის შედეგები	20
3.1	ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:	20
3.2	მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:	21
IV.	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	23
V.	სწავლება, სწავლა და შეფასება.....	25
5.1	სწავლებისა და სწავლის მეთოდები	25



5.2 სწავლის შედეგების შეფასება	26
5.3 სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება.....	27
VI. დამატებითი ინფორმაცია.....	27
6.1 ინფორმაცია სფეროს ეროვნული მარეგულირებლის შესახებ	27
6.2 აკადემიური პერსონალი	28
6.3 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	28
6.4 მარეგულირებელი კანონმდებლობა და სტანდარტები.....	30
6.4.1 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები.....	30
6.4.2 ეროვნული საკანონმდებლო აქტები და სტანდარტები.....	31
6.5 დარგობრივ მახასიათებელთან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ვადები	33
VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები.....	34
7.1 დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები.....	34



I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული უსაფრთხოების სფეროს დარგობრივი სპეციფიკა, ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები და მათ მისაღწევად საჭირო სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდები და სხვა არსებითი მახასიათებლები. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს ცოდნას, უნარებსა და მათი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით გამოყენების კომპეტენციებს, რომლებიც მოეთხოვება პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრისა და მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირს.

პროფესიული უსაფრთხოება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრულია დეტალურ სფეროში (პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება კოდი-1022). პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, სფეროს შესაბამისი, უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის შემუშავებისა და განვითარების მნიშვნელოვანი გარე შეფასების წყაროა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მინიმალური სავალდებულო თამასის დაწესებით, ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას, პროგრამების სტრუქტურის მოქნილობასა და მრავალფეროვნებას.

საგულისხმოა, რომ წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდებისა და რესურსებთან დაკავშირებული სავალდებულოდ განსაზღვრული მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი და მისი განხორციელების გზები თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განისაზღვრება ავტონომიურად.

დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის



საერთაშორისო დონეზე აღიარებას, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა პროფესიაში შესვლისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას და ამ გზით, დასაქმების ხელშეწყობას, პროფესიული განვითარების მხარდაჭერას და საქმიანობაში კურსდამთავრებულთა შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს პროფესიული უსაფრთხოების სფეროში აპრობირებული მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებას პროფესიულ საქმიანობაში და მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

დარგობრივი მახასიათებლის შექმნის მიზანია მოცემული სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან და სფეროს მარეგულირებელ ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელება - **Subject Benchmark Statement of Occupational Safety.**

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

პროფესიული უსაფრთხოების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროფესიაში შესვლა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით რეგულირდება.

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO) მიხედვით პროფესიული უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტების პროფესიის დასახელებაა “პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექტორი” (კოდი – 3257).

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის;
- საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ პირებისთვის;
- აბიტურიენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროფესიული უსაფრთხოების შესწავლით;
- სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ პროფესიული უსაფრთხოების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

- უცხოელ სტუდენტებისთვის, რომელთაც გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში, განზრახული აქვთ სწავლა განაგრძონ საქართველოში პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- დამსაქმებლებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით.

II. სწავლის სფეროს აღწერა

პროფესიული უსაფრთხოება (Occupational Safety) არის სფერო, რომელიც ფოკუსირებულია სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების, ტრავმებისა და პროფესიული ჯანმრთელობის ეფექტების, მათ შორის დაავადებების პრევენციაზე. ის მოიცავს სამუშაო გარემოში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და მართვას, რათა უზრუნველყოს დასაქმებულების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ეს სფერო აერთიანებს რისკების შეფასების, ერგონომიკის, პროფესიული ჯანმრთელობისა და საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის პრინციპებს, რათა შეიქმნას უსაფრთხო სამუშაო პირობები ყველა ინდუსტრიაში, მათ შორის მშენებლობაში, წარმოებაში, ჯანდაცვასა და სხვა სფეროებში, რათა დაიცვას დასაქმებულები და გაძლიერდეს ორგანიზაციებსა და საწარმოებში პროფესიული უსაფრთხოების კულტურა.

პროფესიული უსაფრთხოება მოიცავს ინჟინერიასთან, ჯანმრთელობის მეცნიერებებთან, მენეჯმენტსა და სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს, ამასთანავე ფოკუსირებულია გამოყენებით უნარებზე, როგორებიცაა: საფრთხეების ანალიზი, უსაფრთხოებისაუდიტი და ანგარიშების შემუშავება. ის აქცენტს სვამს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების (მაგ., OSHA, EU-OSHA, ISO 45001) დაცვასა და პრევენციულ მიდგომაზე, რომელიც მიზნად ისახავს რისკების პროაქტიულ მართვას ტრენინგების, პოლიტიკისა და მონიტორინგის მეშვეობით.

ეროვნულ დონეზე პროფესიული უსაფრთხოების მიმართულებით ხორციელდება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები. პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესი განათლების სამივე დონეზე (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 — მე-8 დონეები - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) აღჭურავს სტუდენტებს სამუშაო ადგილის უსაფრთხოების მართვის ცოდნითა და უნარებით. კურსდამთავრებულები შეძლებენ

პროფესიული უსაფრთხოების პროგრამების შემუშავების, რისკის შეფასების, რეგულაციების დაცვისა და დასაქმებულების ტრენინგის მიმართულებით ოპერირებას.

პროფესიული უსაფრთხოების პროგრამები, როგორც წესი, მოიცავს:

ბაკალავრიატის დონე: უზრუნველყოფს საბაზისო ცოდნას პროფესიული უსაფრთხოების მართვის სისტემის პრინციპების, რისკების შეფასებისა და სამართლებრივი ჩარჩოების შესახებ. მოიცავს პრაქტიკულ სწავლებას, მაგ.: სამუშაო ადგილის ინსპექტირებას, სიმულაციებს და ა. შ.

მაგისტრატურის დონე: უზრუნველყოფს სიღრმისეულ სწავლებას პროფესიული უსაფრთხოების მართვის სისტემებში, პროფესიული ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიის, რისკის ანალიზისა და სამეცნიერო კვლევის მიმართულებით.

2.1 პროფესიულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სფეროები

პროფესიულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სფეროებია:

- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობა:** ფოკუსირებულია დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, მათ შორის ეპიდემიოლოგიასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე, რაც ასევე უკავშირდება პროფესიულ ჯანმრთელობას;
- **ინჟინერია და წარმოება:** პროფესიული უსაფრთხოება ინჟინერიისა და წარმოების სფეროში იზიარებს ტექნიკურ ასპექტებს, განსაკუთრებით უსაფრთხოების კონტროლის ტექნოლოგიებში;
- **მენეჯმენტი და ადმინისტრირება:** აქტუალურია EMBA პროგრამებისთვის, რომლებიც ფოკუსირებულია პროფესიული უსაფრთხოების მენეჯერების მომზადებაზე;
- **დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და სოფლის მეურნეობა:** დაკავშირებულია გარემოს უსაფრთხოებასთან და საწარმოო ჰიგიენასთან, აგრეთვე, მოსახლეობის ჯანმრთელობასთან;
- **ინტერდისციპლინარული კავშირები:** პროფესიული უსაფრთხოება ხშირად ინტეგრირდება გარემოს მენეჯმენტთან, სამართალთან, ფსიქოლოგიასთან, გარემოს უსაფრთხოებასა და პროფესიულ ჯანმრთელობასთან.

პროფესიული უსაფრთხოების სფერო მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები და რეგულაციები;
- შრომის ჰიგიენა;

- პროფესიული უსაფრთხოების სისტემის მართვა;
- რისკების მართვა;
- სახანძრო უსაფრთხოება;
- საწარმოო ტრავმატიზმი;
- ელექტრო უსაფრთხოება;
- პროფესიული დაავადებები და ინტოქსიკაციები;
- ერგონომიკა;
- შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია;
- საგანგებო სიტუაციების მართვა.

გარდა ამისა, აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები შესაძლოა მოიცავდეს სპეციფიკურ შემდეგ სექტორულ მიმართულებებთან დაკავშირებულ თემატიკასაც, კერძოდ, პროფესიული უსაფრთხოება:

- სამშენებლო სექტორში;
- სამთომოპოვებით წარმოებაში;
- მძიმე მრეწველობაში;
- მსუბუქ მრეწველობაში;
- სამედიცინო და ჯანდაცვის სექტორში;
- მომსახურების სექტორში;
- სურსათის წარმოებაში;
- სოფლის მეურნეობაში;
- ენერგეტიკის სექტორში;
- ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში;
- ქიმიურ მრეწველობაში;
- მეტალურგიაში;
- მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებში.

2.1.1 პროფესიული უსაფრთხოება მშენებლობის სექტორში

მშენებლობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ სტრატეგიულ დარგს მსოფლიო ეკონომიკაში. მისი მიზანია ინფრასტრუქტურული და ურბანული გარემოს შექმნა, შენარჩუნება და გაუმჯობესება. შესაბამისად, პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ამ მიმართულებით ორიენტირებულია სხვადასხვა ტიპის ობიექტების - საცხოვრებელი, სამრეწველო, საინჟინრო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების დაგეგმვის, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, დემონტაჟის, აღდგენისა და მოდერნიზების პროცესის

უსაფრთხოებაზე. მშენებლობის პროცესი კომპლექსურია და მოითხოვს ინჟინერიის, ტექნოლოგიების, ეკონომიკისა და მენეჯმენტის ცოდნას. იმის გათვალისწინებით, რომ სექტორი ინტენსიურად იყენებს როგორც ადამიანურ, ისე - ტექნიკურ რესურსებს. განსაკუთრებით მაღალი რისკების შემცველია უსაფრთხოების კუთხით.

საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებზე დაყრდნობით, თანამედროვე მშენებლობა ეფუძნება უსაფრთხოების, მდგრადობის და ინოვაციის პრინციპებს. შესაბამისად, დარგი მოითხოვს პროფესიონალების ფართო სპექტრის - არქიტექტორების, ინჟინრების, მენეჯერებისა და უსაფრთხოების სპეციალისტების თანამშრომლობას, რომელმაც უნდა შექმნას გრძელვადიანი ღირებულება საზოგადოებისთვის.

სტატისტიკურად უბედური შემთხვევების დიდი წილი სწორედ ამ სფეროზე მოდის. ამდენად, შრომის უსაფრთხოება და შრომის ჰიგიენა მისი განუყოფელი ნაწილია. ამიტომ მისი უსაფრთხოების მექანიზმები უნდა იყოს მუდმივად განახლებადი და სწავლების პროცესში ინტეგრირებული.

2.1.2 პროფესიული უსაფრთხოება სამთომოპოვებით საწარმოებში

პროფესიული უსაფრთხოების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სამთომოპოვებით წარმოებასა და პროფესიულ უსაფრთხოებაზე არის ორიენტირებული და უზრუნველყოფს სიღრმისეული ცოდნის, უნარებისა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას შემდეგი მიმართულებებით: სათომოპოვებით საწარმოებში შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო დაადგილობრივი რეგულაციები, საწარმოო ტრავმატიზმის კვლევის მეთოდები, მავნე ფაქტორების და საფრთხეების გამოვლენის ანალიზის და რისკების შეფასების მეთოდოლოგია, შრომის ოპტიმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისთვის არსებული საშუალებების კვლევები და გაანგარიშებები, სამთომოპოვებით საწარმოებში ელექტროსისტემების უსაფრთხოების მიმართულებით კვლევები, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, შრომის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების შერჩევის მეთოდები, საგანგებო სიტუაციებში პერსონალის მართვის მეთოდები და ღონისძიებათა სისტემა.

გარდა აღნიშნულისა, სამთომოპოვებით საწარმოებში პროფესიული უსაფრთხოება სწავლობს უსაფრთხოების ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამთომოპოვებით საწარმოებში მიმდინარე სამუშაოებთან:

- გვირაბების და კარიერის საფეხურების გაყვანა-გამაგრების, საწმენდი, განიავეების და მტვერ-აირების რეჟიმების მართვის სამუშაოების, შახტების და კარიერების დაკონსერვება;
- ბურღვა -აფეთქებითი სამუშაოები;
- გვირაბების შენახვის სამუშაოები, მექანიკური მოწყობილობების, ამწევი დანადგარების, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების და სანგრევი მოწყობილობების მართვა.

2.1.3 პროფესიული უსაფრთხოება მძიმე მრეწველობაში

პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელებიც მძიმე მრეწველობის პროფესიულ უსაფრთხოებაზე არის ორიენტირებული, უზრუნველყოფს ცოდნის, უნარებისა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას შემდეგი მიმართულებებით: მძიმე მრეწველობის საწარმოებში შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციები, საწარმოო ტრავმატიზმის კვლევის მეთოდები, მავნე ფაქტორების და საფრთხეების გამოვლენის, ანალიზის და რისკების შეფასების მეთოდოლოგია, შრომის ოპტიმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისთვის არსებული საშუალებების კვლევები და გაანგარიშებები, მძიმე მრეწველობის საწარმოებში ელექტროსისტემების უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, შრომის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების შერჩევის მეთოდები, საგანგებო სიტუაციებში პერსონალის მართვის მეთოდები და ღონისძიებათა სისტემა.

გარდა აღნიშნულისა, მძიმე მრეწველობაში პროფესიული უსაფრთხოება სწავლობს უსაფრთხოების ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, რომელებიც დაკავშირებულია მძიმე მრეწველობაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებასთან შემდეგი მიმართულების საწარმოებში: ბუნებრივი და ხელოვნური მსუბუქი შემავსებლის, ხელოვნური მინერალური ბოჭკოს, შემკვრელი მასალების, ბეტონის, რკინაბეტონის ნაკეთობების და კონსტრუქციების, აგურის და კრამიტის, აზბესტცემენტის ნაკეთობების და თაბაშირის ფილების, ფაიფურის, ქაშანურის და მაიოლიკის ნაკეთობათა, მინისა და მინის ნაკეთობათა, მერქანბურბუშელას ფილების, რბილი სახურავის საფარის და მასტიკის, ასფალტბეტონის წარმოება, ასევე, საშენი მასალების და ნაკეთობების წარმოება პოლიმერული ნედლეულისგან და ხის გადამუშავება.

2.1.4 პროფესიული უსაფრთხოება მსუბუქი მრეწველობის სფეროში

მსუბუქი მრეწველობა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის როგორც შიდა ბაზრის უზრუნველყოფაში, ასევე ექსპორტში და უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური განვითარებისთვის, წარმოადგენს წარმოების იმ დარგს, რომელიც მოიცავს: ტექსტილის ნაწარმის, ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ბეწვეულის ნაწარმის, ტყავის და მასთან დაკავშირებული სხვა ნაწარმის წარმოებას. ასევე ფეხსაცმლის წარმოებას, ხის და კორპის ნაწარმის წარმოებას, ქაღალდისა და ქაღალდის ნაწარმის წარმოებას, ხალიჩებისა და ფარდაგების წარმოებას, თოკების, ბაგირების და ბადეების წარმოებას და სხვ. სფეროსთვის დამახასიათებელია მაღალტექნოლოგიური ინოვაციების ინტეგრაცია, დიზაინის მნიშვნელობის ზრდა და მომხმარებელზე მორგებული პროდუქციის შექმნის საჭიროება. თანამედროვე მსუბუქი მრეწველობა არც თუ იშვიათად იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ეკოლოგიურად უსაფრთხო წარმოების მეთოდებს. სამუშაო პროცესი, ადამიანური შრომის დაზოგვის მიზნით, ნაწილობრივ ავტომატიზებულია, თუმცა გარკვეული სამუშაოები ხელითაც სრულდება.

წარმოება ამ სფეროში დაკავშირებულია ქიმიურ ნივთიერებასა და მის ნაერთებთან, კაუჩუკის ხსნარების ორგანულ გამხსნელებთან, სინთეზურ კაუჩუკებთან, ლატექსებსა და სინთეზურ ფისებთან, წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მექანიკურ დამუშავებასთან, ჭრასთან, კერვასთან. ასევე საწარმოო პროცესები მოიცავს ხის ნაწარმის ხერხვას ნაჭრებად, რანდვას, ხეხვას, ავეჯის ცალკეული ნაწილების ფორმირებას სახარატო ჩარხებზე და მსგავსი ინსტრუმენტების საშუალებით. წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მექანიკურ დამუშავებასთან ერთად გამოიყენება ქიმიური დამუშავება, პოლირება და ა. შ.

მსუბუქი მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა დიდი ნაწილი უშუალოდ ერთვება სხვადასხვა მექანიკურ, ელექტრონულ და ქიმიურ ტექნოლოგიებთან სამუშაო პროცესში, რომელსაც თან ახლავს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ერგონომიკული და სხვა საფრთხეებიდან მომდინარე რისკები, რამაც სამუშაო სივრცეში შესაძლოა დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვიოს. შესაბამისად, პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მსუბუქი მრეწველობის სფეროში პროფესიული უსაფრთხოების სისტემის ეფექტური მართვისთვის, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, უზრუნველყოს სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, კვალიფიციური სპეციალისტების მიწოდება შრომის ბაზარზე.

2.1.5 პროფესიული უსაფრთხოება სამედიცინო და ჯანდაცვის სექტორში

სამედიცინო სფეროში დასაქმებულები უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის კვალიფიციური და სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცესთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტთა უსაფრთხოება და კომფორტი, რაც ასევე სპეციფიკურ გარემოს განსაზღვრავს. შესაბამისად, სამედიცინო სფეროში პროფესიული უსაფრთხოება უზრუნველყოფს როგორც ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული პირების, ისე პაციენტების უსაფრთხოებას. უსაფრთხო სამუშაო გარემო არა მხოლოდ იცავს სამედიცინო პერსონალს, არამედ უზრუნველყოფს ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას.

სამედიცინო დაწესებულებებში (სადიაგნოსტიკო, სამკურნალო, სააფთიაქო) პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა კომპლექსურია შრომის პროცესის ხასიათისა და ჯანმრთელობის რისკის ფაქტორების მრავალფეროვნების გამო.

სამედიცინო დაწესებულებებში სამუშაო გარემო მრავალფეროვან ფაქტორთა კომპლექსითაა ფორმირებული, რაც სპეციფიკურია დაწესებულების პროფილის შესაბამისად და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ დაწესებულებებში დასაქმებულთა ჯანმრთელობის პროფესიული უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისას. შრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამედიცინო სფეროში დასაქმებული ერთდროულად განიცდის ყველა არსებული და ცნობილი პროფესიული რისკის ფაქტორის (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ერგონომიკული და ფსიქოსოციალური) კომბინირებულ და ხანგრძლივ ზემოქმედებას (მაგ., ფიზიკურ და ფსიქოემოციურ დატვირთვას, პროფესიულ სტრესს, ქიმიურ ნაერთთა, მიკროორგანიზმების, არახელსაყრელი მიკროკლიმატის, მაიონიზებული რადიაციის, სხვადასხვა სიხშირიელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებას, მხედველობის დამაბვას და ა. შ.). მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი განაპირობებს სამედიცინო სფეროში დასაქმებულთა სამუშაო გარემოსა და შრომის პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ქმნის ახალი რისკის ფაქტორების (სამედიცინო მანიპულაციების და სამკურნალო-დიაგნოსტიკური აპარატურის ფუნქციონირების დროს წარმოქმნილი სპეციფიკური რისკები) ზემოქმედების შესაძლებლობას.

პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამები სამედიცინო სფეროში უნდა მოიცავდეს სამუშაო გარემოში არსებული პროფესიული ფაქტორების/რისკებისა და შესაძლო ჯანმრთელობის ეფექტების პრევენციის საკითხების შესახებ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს ჯანდაცვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული უსაფრთხოება მედიცინაში აუცილებელია არა მხოლოდ სამედიცინო პერსონალის და პაციენტის ჯანმრთელობის დასაცავად, არამედ მთელი ჯანდაცვის სისტემის მდგრადობისთვის.

2.1.6 პროფესიული უსაფრთხოება მომსახურების სექტორში

მომსახურების სექტორი ფართო სპექტრის ისეთ საქმიანობებს მოიცავს, როგორებიცაა: საოფისე საქმიანობა, ვაჭრობა, სასტუმროები, კვებისა და კლიენტზე ორიენტირებული მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სექტორი მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან საქმიანობებს არ მიეკუთვნება, მას ახლავს მთელი რიგი პროფესიული რისკ-ფაქტორები, რომელთა მართვა მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

მომსახურების სექტორში პროფესიული რისკები ხშირად უკავშირდება ერგონომიკას, ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს, როგორებიცაა: სტრესი, ემოციური გადატვირთვა, კონფლიქტები და აგრესია.

პროფესიულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, მომსახურების სექტორის მიმართულებით, ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგ თემატიკას:

- ფსიქო-სოციალური რისკების შეფასება და მართვა;
- ერგონომიკა, კომფორტული და უსაფრთხო საოფისე სივრცეების დაგეგმვა;
- მომხმარებელთან ურთიერთობა, საკომუნიკაციო უნარების განვითარება და კონფლიქტების მართვა;
- სასტუმროებში, დასუფთავებისა და საზოგადოებრივი კვების სფეროში, ქიმიური და ბიოლოგიური (ინფექციები და სხვა) რისკების შეფასება და მართვა.

მომხმარებელთან ხშირი ურთიერთობა და სამუშაოს არაერთგვაროვნება მოითხოვს სათანადო მიდგომებს. პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამებში აუცილებელია სექტორის სპეციფიკის გათვალისწინება და ისეთი ცოდნის გადაცემა და უნარების განვითარება, რომლებიც გააუმჯობესებს სექტორში დასაქმებულთა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას.

2.1.7 პროფესიული უსაფრთხოება სურსათის წარმოების სფეროში

სურსათის წარმოებაში პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიული უსაფრთხოების შესახებ სურსათის წარმოების სხვადასხვა მიმართულებით.

სურსათის წარმოება რთული გლობალური ინდუსტრიაა, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და თევზის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებასთან ადამიანისთვის სურსათის და ცხოველის საკვების მისაღებად, აგრეთვე, სხვადასხვა ნახევარფაბრიკატის წარმოებასთან, რომელიც პირდაპირ არ გამოიყენება საკვებად. აღნიშნული საქმიანობები ხშირ შემთხვევაში მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს: მცენარეული და ცხოველური ზეთებისა და ცხიმების წარმოება, მარცვლეულის დაფქვა, საცხობი პროდუქტების წარმოება, შაქრის წარმოება და რაფინირება, კაკაოს, შოკოლადის და შაქრის საკონდიტრო პროდუქტის, ცხოველთა საკვების, ალკოჰოლური სასმელების, უალკოჰოლო სასმელების და ა.შ. წარმოება, სადაც საწარმოო პროცესი დაკავშირებულია ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და ფსიქო-სოციალურ რისკ-ფაქტორებთან.

სურსათის წარმოება წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ დარგს, რომელიც მოიცავს სასურსათო პროდუქციის წარმოების ყველა ეტაპს - ნედლეულის მიღებიდან დასრულებული პროდუქტის შეფუთვითა და მომხმარებელამდე მიწოდებით და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და მრავალმხრივ სექტორად, რომელიც აერთიანებს როგორც ტრადიციულ, ისე მაღალტექნოლოგიურ საწარმოო პროცესებს. ამ სფეროს ეკონომიკური მნიშვნელობა გამოიხატება ქვეყნის მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, აგრარულ სექტორთან მჭიდრო კავშირსა და საექსპორტო პოტენციალში. ახალი ტექნოლოგიების განვითარება, მრავალფეროვნება, ჰიგიენური ნორმების სირთულე და ავტომატიზაციის სხვადასხვა დონე ქმნის სპეციფიკურ გარემოს, რომელიც პირდაპირ აისახება შრომის უსაფრთხოების პოლიტიკასა და რისკების მართვის მექანიზმზე.

ამგვარად, სურსათის წარმოებაში ტრადიციული და ფართოდ დანერგილი ტექნოლოგიებისა და მეთოდების პარალელურად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ და გამოყენებამ სამუშაო ადგილებზე მოითხოვა პროფესიული უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფა და დაცვა, რაც შესაძლებელია მიღწეული იყოს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სწავლებისა და პრაქტიკის ხელმისაწვდომობით უმაღლეს განათლების პირობებში.

2.1.8 პროფესიული უსაფრთხოება სოფლის მეურნეობაში

სოფლის მეურნეობაში პროფესიული უსაფრთხოება მოიცავს აგროსექტორში შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო და ადგილობრივ რეგულაციებს, საწარმოო ტრავმატიზმის კვლევის მეთოდებს, მავნე ფაქტორების და საფრთხეების გამოვლენის ანალიზის და რისკების შეფასების მეთოდოლოგიას, შრომის ოპტიმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისთვის არსებული საშუალებების კვლევებს და გაანგარიშებებს, აგროსაწარმოს ელექტროსისტემების უსაფრთხოების მიმართულებით კვლევებს, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას, შრომის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების შერჩევის მეთოდებს, საგანგებო სიტუაციებში პერსონალის მართვის მეთოდებსა და ღონისძიებათა სისტემას.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობაში პროფესიული უსაფრთხოება სწავლობს უსაფრთხოების ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, რომელებიც დაკავშირებულია მემცენარეობის, მეცხოველეობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვა-გადამუშავების, სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მიმართულებისა და აგროსაინჟინრო სერვისის საწარმოებში მიმდინარე აქტივობებთან: ფიზიკურ შრომასთან, მობილური და სტაციონალური მექანიზებული, ავტომატიზებული, რობოტიზებული მანქანა-დანადგარების და ტექნოლოგიური ხაზების მართვასთან, აგროქიმიკატების, სასუქების და ნავთობპროდუქტების გამოყენებასთან, ცხოველთა მოვლა-პატრონობასთან, მაღალი წნევისა და ტემპერატურის მქონე დანადგარების ექსპლუატაციასთან, რწყვისა და დაშრობის სამუშაოების ჩატარებასთან.

2.1.9 პროფესიული უსაფრთხოება ენერგეტიკის სექტორში

პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ენერგეტიკის სექტორში პროფესიული უსაფრთხოების მართვაზეა ორიენტირებული, უზრუნველყოფს საფუძვლიანი ცოდნის, უნარებისა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას შემდეგი მიმართულებებით: ენერგეტიკის სექტორში შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციები, საწარმოო ტრავმატიზმის კვლევის მეთოდები, მავნე ფაქტორების და საფრთხეების გამოვლენის ანალიზის და რისკების შეფასების მეთოდოლოგია, შრომის ოპტიმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისთვის არსებული საშუალებების კვლევები და გაანგარიშებები, ენერგოსაწარმოს ელექტროსისტემების უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას, შრომის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის

საშუალებების შერჩევის მეთოდებს, საგანგებო სიტუაციებში პერსონალის მართვის მეთოდებს და ღონისძიებათა სისტემას.

ამის გარდა, ენერგეტიკის სექტორში პროფესიული უსაფრთხოება სწავლობს უსაფრთხოების ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, რომელებიც დაკავშირებულია ენერგეტიკაში არსებული შემდეგი ქვედარგების ფუნქციონირებასთან - თბოენერგეტიკა, ჰიდროენერგეტიკა, ელექტრული და თბოქსელები, ნავთობმომპოვებელი, ნავთობგადამამუშავებელი და ნახშირის მრეწველობა, თერმული წყლები, ქარისა და მზის ენერგია. ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები ოდენობით გამოიყენება ენერგეტიკული რესურსების თითქმის ყველა სახეობა: ჰიდროენერგორესურსები, ქვანახშირი, მურა ნახშირი, ტორფი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, ბიოაირი, თერმული წყლების, ქარის და მზის რესურსები.

2.1.10 პროფესიული უსაფრთხოება მანქანა-დანადგარებთან, მოწყობილობებსა და სხვა სამუშაო ხელსაწყოებთან მუშაობისას

პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც პროფესიული უსაფრთხოების მენეჯმენტზე არის ორიენტირებული მანქანა-დანადგარებთან, მოწყობილობებსა და სხვა ხელსაწყოებთან მუშაობისას, უზრუნველყოფს საფუძვლიან ცოდნის, უნარებისა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას მანქანა-დანადგარებთან, მოწყობილობებსა და სხვა სახის ხელსაწყოებთან მუშაობისას შემდეგი მიმართულებებით: შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციები, საწარმოო ტრავმატიზმის კვლევის მეთოდოლოგიები, მავნე ფაქტორების და საფრთხეების გამოვლენის ანალიზის და რისკების შეფასების მეთოდოლოგია, შრომის ოპტიმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისთვის არსებული საშუალებების კვლევები და გაანგარიშებები, მანქანა-დანადგარებთან, მოწყობილობებსა და სხვა სამუშაო ხელსაწყოებთან მუშაობისას ელექტროსისტემების უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, შრომის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების შერჩევის მეთოდები, საგანგებო სიტუაციებში პერსონალის მართვის მეთოდები და ღონისძიებათა სისტემა.

გარდა აღნიშნულისა, მანქანა-დანადგარებთან, მოწყობილობებსა და სხვა სახის ხელსაწყოებთან მუშაობისას პროფესიული უსაფრთხოება სწავლობს უსაფრთხოების ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, რომელებიც დაკავშირებულია შემდეგი სახის და დანიშნულების მანქანა-დანადგარებთან, მოწყობილობებსა და სხვა სამუშაო ხელსაწყოებთან მუშაობისას: ამწე-სატრანსპორტო მანქანები, ელექტრო და შიგაწვის

ძრავებზე მომუშავე სერიული და სპეციალური დანიშნულების მანქანები, სატრანსპორტო და დამტვირთავი საშუალებები, ხელის მექანიზებული ხელსაწყოები, ტექნოლოგიური ხაზები, დაზგა-დანადგარები და სხვა სახის ტექნოლოგიური მანქანები.

2.1.11 პროფესიული უსაფრთხოება ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში

ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში, ლოგისტიკა და ტრანსპორტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების მომხმარებელბამდე ეფექტურად და უსაფრთხოდ მიღწევას. ლოგისტიკის ან ტრანსპორტირების სფეროებში დასაქმების მსურველთათვის უმნიშვნელოვანესია ამ სექტორების მნიშვნელობის, როლისა და დინამიკის გააზრება თავისი მახასიათებლებით და შინაარსით, რაც პროფესიული უსაფრთხოების კუთხით დიდი გამოწვევაა.

ლოგისტიკა გულისხმობს რთული ოპერაციების დეტალურ კოორდინაციას, რომელიც მოიცავს ადამიანებს, ობიექტებსა და მარაგებს. ის მოიცავს საქონლის გადაადგილებას მათი წარმოშობიდან საბოლოო მომხმარებელამდე. ასევე მოიცავს სხვადასხვა ელემენტებს, როგორებიცაა: ინვენტარის მართვა, საწყობი, მიწოდების ჯაჭვის მართვა და, რაც მთავარია, ტრანსპორტი.

ტრანსპორტი ლოგისტიკის ხერხემალია, რომელიც ხელს უწყობს საქონლის გადაადგილებას სამი ძირითადი რეჟიმით: სახმელეთო, მილსადენი, საჰაერო და წყლის ტრანსპორტი.

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შეცვალა გლობალური ლოგისტიკა და ტრანსპორტირება. ავტომატიზაცია და რობოტიკა, მონაცემთა ანალიტიკა, ბლოკჩეინ ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიურ მიღწევებში, პროფესიული უსაფრთხოების მომავალმა სპეციალისტებმა სრულად უნდა შეძლონ სინქრონი და უსაფრთხო ოპერირების ჩამოყალიბება/შენარჩუნება.

პროფესიული უსაფრთხოება ლოგისტიკასა და ტრანსპორტირებაში უმნიშვნელოვანესია. ის მოიცავს:

- ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციების დაცვას ავარიების თავიდან ასაცილებლად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რისკების მართვისა და პრევენციული ღონისძიებების იმპლემენტირების გზით;
- ანალიტიკური მიდგომებით, რაციონალური და უსაფრთხო გადაწყვეტილებების მიწოდებასა და მონიტორინგს.

2.1.12 პროფესიული უსაფრთხოება ქიმიური მრეწველობის საწარმოებში

ქიმიური მრეწველობა ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, გამოიმუშავებს ქიმიურ ნივთიერებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგისათვის. ქიმიური მრეწველობა მოიცავს ძირითადი ქიმიის, სამთო ქიმიის, ორგანული სინთეზის, ნავთობქიმიის, შხამ-ქიმიკატების, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, სინთეზური კაუჩუკის, ქიმიური ბოჭკოს, ლაქ-საღებავების, ანილინის საღებავების, ქიმიურ-ფარმაცევტულ, ქიმიური რეაქტივების და განსაკუთრებით სუფთა ქიმიური ნივთიერებების წარმოებას. ქიმიურ მრეწველობაში შედის წარმოებათა კომპლექსი, რომელშიც ჭარბობს ნედლეულისა და მასალების დამუშავების ქიმიური პროცესები.

ქიმიური მრეწველობისათვის ძირითადი არახელსაყრელი ფაქტორია ქიმიური ნივთიერებები მყარ, თხევად, აირად და ორთქლისებრ მდგომარეობაში. შხამების მოხვედრა ორგანიზმში შესაძლებელია სასუნთქი გზებიდან, კანიდან და ზოგჯერ კუჭნაწლავის ტრაქტიდან. ამ ნივთიერებათა ორთქლები, აერო და ჰიდროზოლები იწვევენ მწვავე და ქრონიკულ პროფესიულ მოშხამვებს, ასუსტებენ ორგანიზმის იმუნიტეტს და განაპირობებენ ორგანიზმში ფუნქციურ და ორგანულ ცვლილებებს. მთელი რიგი ქიმიური ნივთიერებებისა იწვევს დამწვრობას. ერთდროულად სხვა საწარმოო ფაქტორები – არახელსაყრელი მიკროკლიმატი, ხმაური, ფიზიკური დაძაბვა და სხვ., - აძლიერებს ქიმიური სამრეწველო შხამების ზემოქმედებას.

ორგანიზმზე ქიმიური ნივთიერების ზემოქმედება შესაძლებელია ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე: ნედლეული მასალების მომზადების, საკუთრივ ქიმიური პროცესის განხორციელებისას, დასკვნითი ოპერაციის, საბოლოო პროდუქტის გამოშვების, სარემონტო სამუშაოების, ქარხნის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანისას.

სხვადასხვა საწარმოში შესაძლებელი თანმხლები ფაქტორებია: ჰაერის მაღალი ტემპერატურა, თბური გამოსხივება, ხმაური, ვიბრაცია, მაიონიზებული რადიაცია და სხვ. ქიმიურ საწარმოში შრომის პირობები დამოკიდებულია საწარმოო პროცესის ორგანიზებაზე, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ვენტილაციის, აპარატურისა და სხვა დანადგარების ჰერმეტიზაციის ხარისხზე.

ქიმიური ქარხნისთვის უნდა შედგეს უსაფრთხოების დეკლარაცია, რომელშიც ასახული უნდა იყოს ობიექტზე საწარმოო საქმიანობის პროცესში პოტენციურ საფრთხეთა ხასიათი და მასშტაბი, აგრეთვე, უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ და ტექნიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, ექსტრემალურ და საგანგებო

სიტუაციაში ადეკვატური მოქმედების გეგმა. უსაფრთხოების დეკლარაცია მუშავდება უკვე მოქმედი და პროექტირების სტადიაზე მყოფი საწარმოებისთვის.

ქიმიურ მრეწველობაში პროფესიული უსაფრთხოების ამოცანაა: დასაქმებულთა შრომის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა, პროფესიული მოშხამებების თავიდან აცილება, ქიმიურ ქარხნებთან ახლოს მაცხოვრებელ მოსახლეობაზე ქიმიურ ნივთიერებათა მავნე ზემოქმედების არდაშვება.

2.1.13 პროფესიული უსაფრთხოება მეტალურგიულ საწარმოებში

ქვეყნის მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მეტალურგიული მრეწველობა, რომელიც შრომის ექსტრემალური პირობების სიმრავლით გამოირჩევა, რაც განაპირობებს საწარმოო ტრავმატიზმისა და ავადობის მაღალ დონეს. მეტალურგიული აგრეგატების მუშაობა დაკავშირებულია მაღალი ტემპერატურისა და თბური გამოსხივების, დიდი რაოდენობით კოქსის, თხევადი საწვავისა და ბუნებრივი აირების მოხმარებასთან. უშუალოდ აირგამომყოფი ან აირმომხმარებელი დანადგარების, აირსადენების, აირის კოლექტორების, სადგურებისა და მისთ. სიახლოვეს განლაგებული საწარმოო უბნები აირსაშიშ ზონას წარმოადგენს, სადაც მაღალია მომუშავეზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების ალბათობა. დამახასიათებელი საშიშროებაა აგრეთვე გამძნარი ლითონით ან წიდით დამწვრობა და საწარმოო ტრავმატიზმი.

პროფესიული უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების დადებითად გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციას.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეტალურგიულ საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების გადაიარაღების შედეგად შემცირდა ხელით შესრულებული სამუშაოების წილი და დაინერგა უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესები, მთელი რიგი ოპერაციების ძველებურად მოითხოვს ადამიანის მიერ უშუალო კონტროლსა და მონაწილეობას.

პროფესიული უსაფრთხოების პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა უზრუნველყოს რეგულარული დაკვირვება საწარმოო გარემოს პირობებსა და მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ადეკვატური და კომპეტენტური ზედამხედველობა საწარმოს მუშაობასა და ტექნოლოგიაზე, კონტროლის სათანადო ღონისძიებების გამოყენება და მათი ეფექტურობის პერიოდულად გადახედვა.

2.1.14 პროფესიული უსაფრთხოება მომეტებული ტექნიკური საფრთხისშემცველ ობიექტებში

მომეტებული ტექნიკური საფრთხისშემცველი ობიექტები (ნაკეთობა, დანადგარი, მოწყობილობა, მათი ნებისმიერი კომბინაცია, შენობა-ნაგებობა, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები, საშიში ქიმიური ნივთიერებები/ნაერთები, სახიფათო ნარჩენები ან ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტები და პროცესები) წარმოადგენენ ინფრასტრუქტურულ, ტექნოლოგიურ თუ ინდუსტრიულ ერთეულებს. ამგვარი ობიექტების არსებობა ბუნებრივად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის, ენერგეტიკის, სამრეწველო და სამთო წარმოების, ინფრასტრუქტურული მშენებლობისა და ტრანსპორტის სექტორებს, რაც მათ აქცევს საზოგადოებების მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვან და ამავე დროს საყურადღებო ელემენტებად.

აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებული საქმიანობა, მათ შორის წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება, შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის რისკებს და წარმოადგენს მომეტებულ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისა და გარემოსთვის. შესაბამისად, ტექნიკური საფრთხის კონტროლის ფარგლებში ხორციელდება მომეტებული ტექნიკური საფრთხისშემცველი ობიექტებისა და მათთან დაკავშირებული პროცესების რეგულირება.

ამ კატეგორიის ობიექტების სპეციფიკა მოითხოვს სავალდებულო შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, ასევე მუდმივ გაუმჯობესებას ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების, სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

მომეტებული ტექნიკური საფრთხისშემცველი ობიექტი პროფესიული უსაფრთხოების მართვის კუთხით განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სისტემური მართვის მექანიზმების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის ეფექტური რეჟიმის, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და დანერგვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და სისტემის არსებობით.

2.2 პროფესიული უსაფრთხოების სფეროს ძირითადი რეგულაციები მარეგულირებელი უწყებები და დასაქმების მოთხოვნები

პროფესიული უსაფრთხოება რეგულირებადი სფეროა ბევრ ქვეყანაში, სადაც არსებობს კანონმდებლობა და ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტების დაცვას. ეროვნულ დონეზე სფეროს არეგულირებს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური.

ევროკავშირში შრომის უსაფრთხოება რეგულირდება Directive 89/391/EEC-ის (OSH Framework Directive) მეშვეობით, რომელიც ქმნის ძირითად პრინციპებს დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად. ეს დირექტივა ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანონ დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და შეიმუშავონ იმგვარი კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს დამსაქმებლების ვალდებულებებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. და მოიცავს სამუშაო ადგილზე საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების მართვას.

შესაძლებელია სავსე ან მაღალი რისკის შემცველ სამუშაოებზე (ენერგეტიკა, მედიცინა, სამთო-მომპოვებელი, გეოლოგია, მეტალურგია და ა.შ.) დასაქმებისთვის საჭირო გახდეს ჯანმრთელობის სპეციფიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება. ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული უსაფრთხოების სფეროში დასაქმებისთვის მოთხოვნება 1-3 წლიანი გამოცდილება მაღალი დონის პოზიციებისთვის, მაგ., უსაფრთხოების მენეჯერი და ა.შ.

დასაქმებისთვის აუცილებელია პროფესიული ან აკადემიური ხარისხი პროფესიული უსაფრთხოებას ან/და მონათესავე სფეროში, სერტიფიკატები (მაგ., NEBOSH, OSHA). კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერის, რისკის შემფასებლის, მრჩეველის, ტრენერის და ა.შ. პოზიციაზე. მათ შორის:

- საჯარო და კერძო სექტორი: ყველა სახელმწიფო უწყებასა და ადმინისტრაციულ ორგანოში, ასევე ყველა ეკონომიკურ სექტორში პროფესიულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პოზიციაზე;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციები: საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობებისთვის განსაზღვრულ პოზიციებზე;
- არასამთავრობო სექტორი: ექსპერტის, კონსულტანტის, მრჩეველის, ტრენერის პოზიციაზე.

ადგილობრივი რეგულაციები: საქართველოში პროფესიული უსაფრთხოება რეგულირდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით (2019), რომელიც მიზნად ისახავს ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა ის უკავშირდება სამუშაო ადგილზე პროფესიული უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

საერთაშორისო რეგულაციები: პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს ევროპის საბჭოს დირექტივით 89/391/EEC დაფარული საკითხების სწავლება.

2.3 მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ეროვნულ დონეზე სფეროში პროფესიული უსაფრთხოების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის შესაძლებელია შემდეგი კვალიფიკაციების მინიჭება:

ა) ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor – Field of study;

პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრი Bachelor of Occupational Safety.

მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master – Field of study;

პროფესიული უსაფრთხოების მაგისტრი Master of Occupational Safety.

ან

ბ) მეცნიერების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor of Science (BSc) – Field of study;

მეცნიერების ბაკალავრი პროფესიულ უსაფრთხოებაში Bachelor of Science (BSc) in Occupational Safety.

მეცნიერების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Science (MSc) – Field of study;



მეცნიერების მაგისტრი პროფესიულ უსაფრთხოებაში Master of Science (MSc) in Occupational Safety.

III. სწავლის შედეგები

პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის/ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

3.1 ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- განმარტავს პროფესიული უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად თეორიულ წინამძღვრებს, პრინციპებს, სფეროს განვითარების ეტაპებსა და ტენდენციებს;
- განასხვავებს პროფესიული რისკების შედეგად განვითარებული ჯანმრთელობის დარღვევების კატეგორიებს და აღწერს მათი პრევენციის ზოგად პრინციპებს;
- განიხილავს ორგანიზაციის პროფესიული უსაფრთხოების მართვის სტრუქტურას და მეთოდებს, შრომის პირობების შეფასების კრიტერიუმებს, შრომის ჰიგიენის, ერგონომიკის, შრომის ფსიქოლოგიის პრინციპების მნიშვნელობას.

უნარი

- ახდენს სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და შესაბამისი კონტროლის სტრატეგიებისა და ღონისძიებების განსაზღვრას;

- მონაწილეობას იღებს პროფესიული უსაფრთხოების ანგარიშების/დოკუმენტების შემუშავებაში; აყალიბებს სფეროსთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ დასკვნებს და წარუდგენს დაინტერესებულ მხარეებს შესაბამისი ფორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;
- არჩევს შრომისა და დასვენების რაციონალურ რეჟიმს, კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს;
- ამზადებს პროფესიული უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებსა და სასწავლო მასალებს, ახდენს მათ პრეზენტირებას;
- აანალიზებს და აფასებს პროფესიული უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო მარეგულირებელ ნორმებს და მათ გავლენას ორგანიზაციებში პროფესიული უსაფრთხოების პოლიტიკაზე;
- მონაწილეობს საგანგებო სიტუაციების მართვაში და უზრუნველყოფს დაზარალებულთათვის პირველად დახმარებას;
- სამიზნე აუდიტორიასთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს და პრეზენტაციის ტექნიკებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდში;
- აფასებს და სხვებს უზიარებს პროფესიული უსაფრთხოების კულტურის მნიშვნელობასა და სოციალურ პასუხისმგებლობას;
- პროფესიული უსაფრთხოების სფეროში განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

3.2 მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- სისტემურად აღწერს პროფესიული უსაფრთხოების მართვის პრინციპებსა და კონცეფციებს, სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებებს, პროფესიული უსაფრთხოების მართვის მექანიზმებსა და მეთოდებს;
- აღწერს საწარმოო გარემოს სანიტარიულ–ჰიგიენური უსაფრთხოების პრობლემებს, ექსტრემალურ პირობებში შრომის თავისებურებებსა და არგუმენტირებულად

აყალიბებს მომუშავეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

- მსჯელობს პროფესიული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციების, შედარებითი კონტექსტისა და საერთაშორისო პრაქტიკების შესახებ;
- განიხილავს სამუშაო გარემოს ზეგავლენას ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე, პროფესიული დაავადებების და ინტოქსიკაციების გამომწვევ მიზეზებს და პრევენციული მიდგომებს.

უნარი

- ახდენს საწარმოში მავნე და სახიფათო საწარმოო ფაქტორების ამოცნობას და პერსონალზე მათი გავლენის კომპლექსურ შეფასებას;
- აანალიზებს პროფესიული დაავადებების, ინტოქსიკაციების, უბედური შემთხვევებისა და საშიში ინციდენტების სტატისტიკურ მონაცემებს და, პერსონალზე სამუშაო პირობების უარყოფითად ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით, გეგმავს შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს;
- უზრუნველყოფს საგანგებო პირობებსა და ექსტრემალურ სიტუაციებში პერსონალის უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელ ღონისძიებათა ოპტიმალური გეგმის შედგენასა და რეალიზებას;
- გეგმავს და ორგანიზებას უწევს დასაქმებულების წინასწარ და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას.
- სფეროში აპრობირებული კვლევის მეთოდებისა და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიმუშავებს და ეფექტურად წარადგენს (ზეპირი, წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით) კვლევით ნაშრომს/პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.
- ორგანიზაციაში პროფესიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რისკის ფაქტორების შეფასებით და რესურსების ეფექტიანი გამოყენებით, აყალიბებს სტრატეგიულ და ოპერაციულ გადაწყვეტილებებს; განსაზღვრავს მათი რეალიზაციის და ზედამხედველობის მექანიზმებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში, უწევს მას კოორდინაციას, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს;



- სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით, პროფესიული უსაფრთხოების სფეროში დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საჭიროებებს.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების მე-2 დანართით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, პროფესიული უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონეზე შესაძლებელია შემდეგი კვალიფიკაციების მინიჭება:

ა) ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor – Field of study;

პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრი Bachelor of Occupational Safety;

მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master – Field of study;

პროფესიული უსაფრთხოების მაგისტრი Master of Occupational Safety.

ბ) მეცნიერების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor of Science (BSc) – Field of study;

მეცნიერების ბაკალავრი პროფესიულ უსაფრთხოებაში Bachelor of Science (BSc) in Occupational Safety;

მეცნიერების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Science (MSc) – Field of study;

მეცნიერების მაგისტრი პროფესიულ უსაფრთხოებაში Master of Science (MSc) in Occupational Safety.

ზემოაღნიშნული კვალიფიკაციების მიმნიჭებელ პროგრამების შინაარსი ევროპულ კონტექსტში ხშირად სტანდარტიზებულია, მაგრამ მაინც განსხვავდება პრაქტიკული/პროფესიული და აკადემიური/სამეცნიერო ორიენტაციით.

შინაარსობრივი განსხვავებები ძირითადად დამოკიდებულია პროგრამის სტრუქტურაზე, ფოკუსზე, აკადემიურ სიღრმესა და სამუშაო ბაზარზე ორიენტაციაზე.

პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამები უფრო პრაქტიკული, პროფესიული ორიენტაციის მქონე პროგრამებია, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების მართვის, რისკების შეფასებისა და რეგულაციების დანერგვის უნარების განვითარებას. ხშირად მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: სამშენებლო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციების მართვა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და ა.შ. სასწავლო გეგმა ნაკლებად ფოკუსირდება თეორიებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე (მაგ., ბიოლოგია, ქიმია) და მეტად პრაქტიკულ სფეროებზე, როგორიცაა, მაგ., EU-OSHA სტანდარტები, ერგონომიკა, პროფესიული ჯანმრთელობა, უსაფრთხოების პროგრამების შემუშავება. ხშირად მოიცავს სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტს ან/და სტაჟირებას.

მეცნიერების ბაკალავრი პროფესიულ უსაფრთხოებაში - ამ კვალიფიკაციის მიმნიჭებელ პროგრამებს უფრო მეტად აქვთ ფოკუსი აკადემიურ და სამეცნიერო ორიენტაციაზე, პროგრამებში მეტადაა აქცენტი დასმული სამუშაო ადგილის უსაფრთხოების მეცნიერულ საფუძვლებზე, მათ შორის გარემოსდაცვით და პროფესიულ ჯანმრთელობაზე, სამრეწველო ჰიგიენაზე.

სასწავლო გეგმა მოიცავს სამეცნიერო საფუძვლებს (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) და სპეციალიზებულ კურსებს, როგორებიცაა: სამუშაო ადგილის საფრთხეების ანალიზი, პროფესიული ჯანმრთელობა, გარემოს მენეჯმენტი. ხშირად მოითხოვს კვლევითი პროექტ(ებ)ის ან/და საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას.

პროფესიული უსაფრთხოების მაგისტრის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამები ორიენტირებულია სფეროში პროფესიული, მენეჯერული კომპეტენციების გამომუშავებაზე, მიზნად ისახავს ლიდერული უნარების განვითარებას სამუშაო ადგილის უსაფრთხოების მართვაში. ხშირად მოიცავს თემებს, როგორებიცაა: უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, რისკების მართვა, სამართლებრივი რეგულაციები. მეტად არის ორიენტირებული პრაქტიკულ გამოყენებაზე, მაგ., სამუშაო ადგილის აუდიტი, სატრენინგო პროგრამების შექმნა, ორგანიზაციული მართვა. ხშირად განკუთვნილია სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე პროფესიონალებისთვის.

კვალიფიკაციის „მეცნიერების მაგისტრი პროფესიულ უსაფრთხოებაში“ მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამები გამოირჩევა მკაფიო ფოკუსით კვლევის კომპეტენციების განვითარებაზე, მიზნად ისახავს სამუშაო ადგილის უსაფრთხოების მეცნიერულ ანალიზს, მათ შორის ინდუსტრიულ ჰიგიენას, პროფესიული ჯანმრთელობის და

გარემოს მენეჯმენტის საკითხების ანალიზს. კურსდამთავრებული მზადდება როგორც პრაქტიკული, ასევე აკადემიური/სამეცნიერო კარიერისთვის.

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

პროფესიული უსაფრთხოების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები მორგებულია პრაქტიკულ და თეორიულ უნარებზე, რათა უზრუნველყონ სამუშაო ადგილის უსაფრთხოების მართვის, რისკების შეფასებისა და სამეცნიერო ანალიზის კომპეტენციები. ქვემოთ მოცემულია სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები, პროფესიული უსაფრთხოების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის.

პროფესიული უსაფრთხოების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის გეგმა/სილაბუსი/მოდული უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები, გარდა პრაქტიკულ სწავლებასთან დაკავშირებული ჩანაწერებისა, სარეკომენდაციო ხასიათისაა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული ან სწავლების, სწავლისა და შეფასების სხვა მეთოდები.

5.1 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- ლექცია;
- სემინარები და ვორქშოპები;
- სიმულაციები;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- შემთხვევის შესწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- შებრუნებული საკლასო ოთახი;

- პროექტებით სწავლება;
- ახსნა-განმარტება;
- საწარმოო პრაქტიკა/სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება;
- პრაქტიკის ანგარიში;
- ზეპირი და წერილობითი გამოცდა;
- გუნდური მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- თანამშრომლობითი სწავლება;
- ევრისტიკული მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრეზენტაციებისა და პროექტების მომზადება ვერბალური და წერითი მეთოდით;
- ლაბორატორიაში მუშაობა;
- დამოუკიდებელი სწავლა;
- პრაქტიკული მეთოდები;
- საკურსო სამუშაო/პროექტი;
- საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება;
- და სხვა.

სწავლების, სწავლისა და შეფასების პროექტის ეფექტიანობისთვის სტუდენტი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მის მიერ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ (სიმულაციურ) სიტუაციებში.

5.2 სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალფეროვანია და მოიცავს ტესტურ, წერით და ზეპირ შეფასებებს, დებატებში, დისკუსიებში, პროფესიულ განხილვებში მონაწილეობას, პრეზენტაციებისა და მოხსენებების შეფასებას; პროექტების/პრაქტიკის ანგარიშის/ანგარიშების მომზადებას, ზეპირი და წერითი დავალებების შესრულებისას გუნდში მუშაობის შეფასებას, სიმულაციებსა და როლურ თამაშებში მონაწილეობის შეფასებას, სტუდენტთა ურთიერთშეფასებას, რეფერატის ან/და კვლევითი/საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასებას, გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას.

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასებებში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გარე შემფასებლების ჩართულობა. კერძოდ, სსიპ - შრომის ინსპექციის

სამსახურის/დარგობრივი ასოციაციების/სფეროს დამსაქმებლების ჩართულობა ნაშრომის/პროექტის კომპლექსურად შეფასების მიზნით.

პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შეფასება უნდა მოხდეს “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

5.3 სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკული კომპონენტი პროფესიული უსაფრთხოების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარება. პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილი და ორგანიზებული უნდა იყოს თანმიმდევრულად და მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის, კონცეფციისა და შინაარსის გათვალისწინებით, არსებული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შესაბამისად, დამოუკიდებლად შეარჩიოს პრაქტიკის კომპონენტის შინაარსის, ფორმა და მოდელი. საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს თეორიულკურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის, დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის/კურსების, ან/და სხვა სახით.

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1 ინფორმაცია სფეროს ეროვნული მარეგულირებლის შესახებ

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, რომლის მთავარი მიზანია შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი. ის უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში დასაქმებულთა სამუშაო გარემოს უსაფრთხოების კონტროლს, შრომის ნორმების აღსრულებასა და დარღვევებზე რეაგირებას; ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს სამუშაო გარემოში რისკების შემცირების მიზნით. შესაბამისად, პროფესიული

უსაფრთხოების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს სისტემური ცოდნა პროფესიული უსაფრთხოების პრინციპებში, ეროვნულ თუ საერთაშორისო სტანდარტებში, ასევე პროფესიული რისკების მართვის მიმართულებით.

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო - სააგენტოს საქმიანობის ძირითადი სფეროა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

6.2 აკადემიური პერსონალი

პროფესიული უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შესაძლებელია უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

6.3 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

პროგრამის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც შეესაბამება პროფესიული უსაფრთხოების სფეროს სპეციფიკას და უზრუნველყოფს როგორც თეორიული სწავლების, ისე პრაქტიკული კომპეტენციების სრულფასოვან განვითარებას.

სასწავლო პროცესისთვის აუცილებელია როგორც სტანდარტული სალექციო, ისე სპეციალიზებული აუდიტორიების არსებობა, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით (პროექტორი, ეკრანი, დაფა და სხვა).

გარდა ამისა, სასწავლო პროგრამისთვის მნიშვნელოვანია სპეციალური სიმულაციის სივრცის ან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე პარტნიორ ორგანიზაციებთან პრაქტიკული სწავლების სათანადოდ უზრუნველყოფის შესაძლებლობა, სადაც სტუდენტები შეისწავლიან პროფესიულ უსაფრთხოებას პრაქტიკაში. მაგალითად: დამცავი საშუალებების ლაბორატორია, სადაც გაიცნობენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს და შეაფასებენ მათ ეფექტიანობას; ასევე, წარმოდგენილია სახანძრო და ქიმიური უსაფრთხოების მაკეტები; სიმულაციური ლაბორატორია - ქმნის საწარმოო გარემოს მსგავს პირობებს (ხმაური, ვიბრაცია, ტემპერატურა, მექანიკური მოწყობილობები და სხვ.), რომელიც ეხმარება სტუდენტებს რისკების შეფასებასა და მართვაში.

საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად მიმართულებებს, ასევე შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვა სექტორული მიმართულებების სპეციფიკაც:

- ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციები შრომის უსაფრთხოებაში;
- პროფესიული უსაფრთხოების სისტემის მართვა;
- შრომის ჰიგიენა;
- სახანძრო უსაფრთხოება;
- ელექტრო-უსაფრთხოება;
- საწარმოო ტრავმატიზმი;
- პროფესიული დაავადებები და ინტოქსიკაციები;
- ერგონომიკა;
- რისკების შეფასება;
- შრომის ფსიქოლოგიის საფუძვლები;
- საგანგებო სიტუაციების მართვა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- სტატისტიკის საფუძვლები.

პროფესიული უსაფრთხოების სპეციფიკური სექტორული მიმართულებები:

პროფესიული უსაფრთხოება:

- სამშენებლო სექტორში;
- სამთომოპოვებით წარმოებაში;
- მძიმე მრეწველობაში;
- მსუბუქ მრეწველობაში;
- სამედიცინო და ჯანდაცვის სექტორში;
- მომსახურების სექტორში;
- სურსათის წარმოებაში;
- სოფლის მეურნეობაში;
- ენერგეტიკის სექტორში;
- ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში;
- ქიმიურ მრეწველობაში;
- მეტალურგიაში;
- მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებში.

გარდა ამისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტების ხელმისაწვდომობას სამუშაო გარემოში რისკების ანალიზისა და მართვის თანამედროვე



პროგრამებზე (მაგალითად: SafetyCulture, OSHA და სხვა); საერთაშორისო (ISO), ევროპულ (EN) და სხვა სტანდარტებსა და დოკუმენტებზე/პროგრამებზე (მაგალითად, NEBOSH, IOSH, Hygiene Module W505, NFPA და სხვა), რომლებიც განსაზღვრავს პროფესიული უსაფრთხოების სფეროში მოქმედ საუკეთესო პრაქტიკებს.

მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულ იქნეს პროფესიული უსაფრთხოების მართვის ელექტრონული უზრუნველყოფის პროგრამებთან ადაპტირება და იმპლემენტაციის უნარები, ასევე შესაბამის ციფრულ პროგრამებზე/პლატფორმებზე წვდომა და გამოყენება.

აღნიშნული ინფრასტრუქტურა აუცილებელია იმისთვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა და პროფესიული უსაფრთხოების სფეროში მომზადდნენ საერთაშორისო მოთხოვნებზე ორიენტირებულ გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია პრაქტიკული სწავლება, რომლის განხორციელება, როგორც საუკეთესო მოდელი, რეკომენდებულია დასაქმების ყველა სექტორში. აღნიშნული ფორმატი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროფესიული კომპეტენციების გადრმავებას რეალურ სამუშაო გარემოში და მათ სრულფასოვან პროფესიულ სოციალიზაციას.

6.4 მარეგულირებელი კანონმდებლობა და სტანდარტები

6.4.1 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები

ა) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), კონვენციები (ხელმისაწვდომია <https://www.ilo.org/>):

- P155 „შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული ჯანმრთელობის დაცვის კონვენცია“;
- C187 „უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვის ხელშეწყობის ჩარჩო“;
- R164 „შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის რეკომენდაცია“;
- პროფესიული ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის ინტერვენციების შესახებ მონაცემების შეგროვება და ძირითადი შესრულების ინდიკატორების გაზომვა. დანერგვის სახელმძღვანელო პირველად გამოქვეყნდა 2022 წელს/Collecting data and measuring key performance indicators on occupational safety and health interventions A Guidebook for implementers, First published 2022.

ბ) ევროპის საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის დირექტივა 89/391/EEC “სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის ღონისძიებების შემოღების შესახებ”.

6.4.2 ეროვნული საკანონმდებლო აქტები და სტანდარტები

ა) საკანონმდებლო აქტები (ხელმისაწვდომია, www.matsne.gov.ge)

- საქართველოს ორგანული კანონი "შრომის უსაფრთხოების შესახებ", დოკუმენტის ნომერი: 4283-III, მიღების თარიღი: 19/02/2019
- „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი; დოკუმენტის ნომერი: 4283-III, მიღების თარიღი: 19/02/2019
- საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს შრომის კოდექსი”, დოკუმენტის ნომერი: 4113-რს, მიღების თარიღი: 17/12/2010.
- საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, დოკუმენტის ნომერი: 6157-III, მიღების თარიღი: 08/05/2012.
- „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის №341 დადგენილება;
- „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება;
- სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილება;
- „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №01-11/ნ ბრძანება;
- „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის №01-15/ნ ბრძანება;
- „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №340 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტი – საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება 2014 წლის 15 იანვრის №69 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტი – მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს №450 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნები“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის №457 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტი – “სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №590 მთავრობის დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის #347 დადგენილება. „ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის და ელექტრომოწყობილობების ელექტროსამონტაჟო და გაწყობის სამუშაოების წარმოების დროს უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №488 დადგენილება „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზღვრული ტექნიკური პარამეტრების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- „ტექნიკური რეგლამენტი სამუშაო სივრცეში სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 1 მაისის დადგენილება №135 მთავრობის დადგენილება.
- „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №340 დადგენილება;
- „საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №70 დადგენილება;

- „ზოგადი და ლოკალური ვიბრაციით გამოწვეული ვიბრაციული დაავადების და პნევმოკონიოზების კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 18 სექტემბრის №264/ნ ბრძანება;
- „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 2023 წლის 1 მაისი ქ. თბილისი „ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

ბ) რეკომენდებული სტანდარტ(ებ)ი (ხელმისაწვდომია sst.geostm.gov.ge)

- სსტ ისო 45001 “შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები სახელმძღვანელო მითითებებით შემდგომი გამოყენებისთვის”;
- სსტ ისო 26000 “სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო”;
- სსტ 78 „სამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესები”;
- სსტ 81 „ნახშირის შახტები. მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი”;
- სსტ 82 „ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოება და მოხმარება. მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი”;
- სსტ 83 „ამიაკის სამაცივრო დანადგარების მოწყობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნები”;
- სსტ 84 „კარიერები. მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი”.

6.5 დარგობრივ მახასიათებელთან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ვადები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული “ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით” გათვალისწინებული დეტალური სფეროს - “1022.1.1 პროფესიული უსაფრთხოება” საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანოს დარგობრივი მახასიათებლის ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი, ხელახალი აკრედიტაციის მიღების მიზნით, ცენტრში წარდგენილ უნდა იქნეს 1 წელზე ნაკლებ ვადაში;

- იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მიღების მიზნით, ცენტრში წარდგენილ უნდა იქნეს დარგობრივი მახასიათებლის ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამა განაცხადის წარდგენის ეტაპზე შესაბამისობაში უნდა იყოს წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელთან;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ცენტრში პროფესიული უსაფრთხოების სწავლის სფეროს შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა შესაბამისობაში იყოს წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელთან.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1 დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ოთარ ქარჩავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის პროფესორი; შრომის უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაცია (OSHE) გამგეობის წევრი, ექსპერტი, ტრენერი; სსიპ - სოფლის მეურნეობის



			სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი - საბჭოს თავმჯდომარე.
2.	ქეთევან დარცმელია	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის (სამმართველო) უფროსი - საბჭოს მდივანი.
3.	შოთა ნიჟარაძე	ა(ა)იპ - საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაცია (Oshe Georgia)	ა(ა)იპ - საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, საქართველოს შრომის უსაფრთხოების ორგანიზაციების კონფედერაციის (CoSHO) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ომბუდსმენი - საბჭოს წევრი.



4.	თამარ ნონიაშვილი	სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი.
5.	მაია მჭედლიშვილი	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი.
6.	სულხან ტაბაღუა	სსიპ - სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	სსიპ - სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის დირექტორი, შპს “ევროპის უნივერსიტეტის” ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
7.	თეიმურაზ კუნჭულია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის პროფესორი - საბჭოს წევრი.
8.	ლუცინდა ჩხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოებისა და



			საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის პროფესორი-საბჭოს წევრი.
9.	მარინა ციმაკურიძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მედიცინის დოქტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი- საბჭოს წევრი.
10.	დავით თხელიძე	შპს საფკო	შპს „საფკოს“ თანადამფუძნებელი, დირექტორი. ბრიტანული საერთაშორისო შრომის უსაფრთხოების ორგანიზაციის IOSH (Institution of Occupational Safety and Health) ავტორიზებული ტრენერი/ტუტორი, ავტორიზებული წევრი ტექნიკურ დონეზე. COSHO - შრომის უსაფრთხოების ორგანიზაციების კონფედერაცია - მთავარი კონსულტანტი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების გადამზადების მოკლევადიანი სახელმწიფო



			პროგრამის ტრენერი. საბჭოს წევრი.
11.	დავით ნანობაშვილი	შპს შრომის უსაფრთხოების ცენტრი (SWC)	შპს შრომის უსაფრთხოების ცენტრის (SWC) შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, ექსპერტ-კონსულტანტი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს HS კონსულტანტი - საბჭოს წევრი.
12.	ჯავარა უგრეხელიძე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის, სამედიცინო პერსონალის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.